



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 6 22 0000886834



09/08/2022

**მე-6 ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
„სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“  
საორგანიზაციო კომიტეტის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის ოთარ გელაშვილის 2022 წლის 11 ივლისის (785673) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. 2022 წლის 26-28 სექტემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის, სილეზინგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან (პოლონეთი) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ქუთაისი, საქართველო) თანამშრომლობით დაგეგმილი კონფერენცია თემაზე „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“, ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საორგანიზაციო, სამეცნიერო კომიტეტები შემდეგი შემადგენლობით:

**ორგანიზატორი:**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო)

## თანაორგანიზატორი:

სილეზინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (გლივიცე, პოლონეთი)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი, საქართველო)

**ჩატარების დრო და ადგილი:** 2022 წლის 26 – 28 სექტემბერი, თბილისი, საქართველო.

## კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტი:

თავმჯდომარე - პროფ. დავით გურგენიძე (საქართველო);

თანათავმჯდომარე - პროფ. ალექსანდერ სლადკოვსკი (პოლონეთი);

თანათავმჯდომარე - პროფ. ოთარ გელაშვილი (საქართველო);

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი (საქართველო); პროფ. თამაზ ნატრიაშვილი (საქართველო); პროფ.

ფრიდონ გოგიაშვილი (საქართველო); დოქტორი ბოგუსლავ ლაზარჟი (პოლონეთი); დოქტორი.

იანუშ ჩივიეკი (პოლონეთი).

## საორგანიზაციო კომიტეტი:

თავმჯდომარე - ასოც. პროფ. ბორის გითოლენდია (საქართველო);

თანათავმჯდომარე - დოქტორი პიოტრ ფოლეგა (პოლონეთი);

პროფ. გივი გოლეთიანი (საქართველო); პროფ. გიორგი თუმანიშვილი (საქართველო); ასოც.

პროფ. ვალერი ჯაჯანიძე (საქართველო); აკად. დოქტორი გოდერძი ტაბატაძე (საქართველო);

პროფ. ნათია ბუთხუზი (საქართველო); პროფ. თეა ბარამაშვილი (საქართველო); პროფ. იეჟი

მარგილევიჩი (პოლონეთი).

## კონფერენციის სამუშაო თემები:

1. საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების ტენდენციები;
  2. ტექნოლოგიური და სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტი;
  3. ურბანული ტრანსპორტი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
  4. მულტიმოდალური, ინტერმოდალური და კომბინირებული სატრანსპორტო პროცესები;
  5. სატრანსპორტო ლოგისტიკა, მენეჯმენტი და ეკონომიკური ასპექტები;
  6. მოძრავი შემადგენლობისა და ტექნოლოგიური ტრანსპორტის დინამიკა;
  7. სატრანსპორტო საშუალებების დიაგნოსტიკა, მონიტორინგი, ტექნიკური მდგომარეობა და მომსახურება;
  8. სატრანსპორტო საექსპლუატაციო მასალები;
  9. ტრანსპორტის საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები, ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემები;
  10. კვების პროდუქტების ცივად შენახვა და ტრანსპორტირება;
  11. ტრანსპორტი და ეკოლოგია;
  12. საგანმანათლებლო პოლიტიკა ტრანსპორტზე;
  13. სატრანსპორტო კანონმდებლობა და საბაჟო საქმე.
2. კონფერენციის შესახებ სრული ინფორმაცია (პირობები, რეგისტრაცია, მოთხოვნები სტატიის გაფორმებისათვის, საბანკო რეკვიზიტები და ა. შ.) განთავსდეს კონფერენციის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: [ICTBEA.gtu.ge](http://ICTBEA.gtu.ge) - **Error! Hyperlink reference not valid.**
3. დაევალოს საორგანიზაციო კომიტეტს, კონფერენციის მაღალ დონეზე ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად წარმოადგინოს დამატებითი წინადადებები და ინიციატივები;
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ის საქმისწარმოების დეპარტამენტმა;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორის მოადგილე  
გასიტაშვილი ზურაბ

გ. ასათიანი